შპს ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაკშენ
პ.ქავთარაძის #14ა, XXII სართული,
ს/კ 404870724

GEORGIAN CONTEMPORARY CONSTRUCTION LTD.
P.Kavtaradze St.#14a XXII Floor,
I/C 404870724

08.08.2022 წ

საექსპერტო დასკვნა
ქ. თბილისში, მარკ ბრონშტეინის I ჩიხი #6-ის მოიმდებარედ (საკ.კოდი 01.11.13.002.448) მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მოსაზღვრე ტერიტორიებზე არსებული შენობა-ნაგებობების ურთიერთგავლენასთან დაკავშირებით.

მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობა მდებარეობს ქ. თბილისში, მარკ ბრონშტეინის I ჩიხი #6-ის მოიმდებარედ (საკ.კოდი 01.11.13.002.448)

შენობის გეგმარებითი პარამეტრები: *შენობა მართკუთხა ფორმისაა.* შენობის ზომა განაპირა ღერძებში შეადგენს: 21.55მ x 20.80მ; მაქსიმალური მალი შეადგენს L=7.00მ. შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოსებრ-კავშირებიანი კარკასული მონოლითური რკინაბეტონის სისტემა. შენობის სართულის მაქსიმალური სიმაღლე, H=3.80 მ.

შენობის დაფუძნების პირობები: სამშენებლო მოედნის გეოტექნიკური აგებულებიდან გამომდინარე შენობის დაფუძნება გადაწყვეტილია(*იხ. გეოლოგიური დასკვნა). საძირკვლის ფილის და დაკიდებული ხიმინჯების მეშვეობით.საძირკვლის ფილის ქვეშ* გათვალისწინებულია დატკეპნილი 600 მმ ხრეშის მოსასწორებელი ფენის მოწყობა და 100მმ სისქის ბეტონის მომზადება **B7.5** კლასის ბეტონისაგან.

მშენებარე შენობას ჩრდილოეთიდან რამაზ შენგელიას ქუჩა ესაზღვრება, აღმოსავლეთიდან (საკ.კოდი 01.11.13.002.171) და დასავლეთიდან (საკ.კოდი 01.11.13.002.210) საცხოვრებელი კორპუსები, ხოლო სამხრეთიდან რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი (01.11.13.002.449).

პროექტის ავტორების მიერ შესწავლილ იქნა მომიჯნავე შენობების დაფუძნების პირობები და საპროექტო შენობის დაფუძნება გადაწყდა იმდაგვარად, რომ არ ჰქონოდა მომიჯნავე შენობაზე გავლენა.

კერძოდ, გავლენის გამოსარიცხად გათვალისწინებულია მიჯრით მიწყობილი ხიმიმჯების 'ფარდა', ხიმინჯების დიამეტრის 600მმ ხოლო სიგრძე 9 000 და 16 000 მმ.

ასევე შესწავლილი იქნა არსებული ორსართულიანი შენობა,რომელიც ექვემდებარება დემონტაჟს.

<u>დასკვნა:</u>

გამომდინარე შენობის დაფუძნების პირობებიდან და მოსაზღვრე შენობა-ნაგებობების მდებარეობიდან საპროექტო შენობასთან მიმართებაში ასაშენებელი შენობა ასევე ორსართულიანი შენობისა და ღობის დემონტაჟი საფრთხეს არ უქმნის მოსაზღვრე შენობა-ნაგებობებს (კერძოდ შემდეგ საკადასტრო კოდებზე მდებარე შენობა ნაგებობები: 01.11.13.002.171 და 01.11.13.002.210), როგორც ნორმირებული მშენებლობის პროცესში, ასევე შემდგომი ნორმალური ექსპლუატაციის პირობებშიც.

შპს ,,ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაკშენ“-ის
მმართველი პარტნიორი/მთ. კონსტრუქტორი:



დავით გიგინეიშვილი
მაგისტრი მშენებლობაში
მშენებლობის ექსპერტი